NEWSLETTER

ნოემბერი, 2016
საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია

რუსეთ-საქართველოს ბიზნეს ფორუმი

ტრენინგი - ორგანიზაციული უპირატესობის მოპოვება და მართვა

სპორტული მარკეტინგის საერთაშორისო კონფერენცია 2016

ტრენინგი - პრაქტიკული ციფრული მარკეტინგი

ტრენინგი - სახანძრო უსაფრთხოება

მოგების გადასახადის ესტონური მოდელი

ბიზნეს სექტორის შეხვედრა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან

GEORGIAN EMPLOYERS' ASSOCIATION

WWW.EMPLOYER.GE

რუსეთ-საქართველოს ბიზნეს ფორუმი

ბიზნეს გაერთიანება „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციისა“ და მისი წევრი კომპანია „უნივერს ბიზნეს ჯგუფის“ ორგანიზებით გაიმართა რუსეთ-საქართველოს ბიზნეს ფორუმი. რუსეთის მხრიდან წარმოდგენილი იყო კომპანიები შემდეგი სექტორებიდან: ინფრასტრუქტურა, ენერგეტიკა და მშენებლობა.

რუსეთიდან წარმოდგენილი კომპანიები დაინტერესდნენ შესაბამისი ბიზნეს სექტორების წარმომადგენელ ქართულ კომპანიებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთოებების გააქტურებითა და პარტნიორული ურთიერთობების დამყარებით. ბიზნეს ფორუმის ფარგლებში გაიმართა ორმხრივი (B2B) შეხვედრები.

ბიზნეს გაერთიანება GEA სისტემატურად აწყობს ბიზნეს ფორუმებს ქართველი და უცხოელი ბიზნესმენებისათვის ინვესტიციების მოზიდვისა და ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით.

ტრენინგი - ორგანიზაციული უპირატესობის მოპოვება და მართვა

უპირატესობის მოპოვება ყველა ადამიანის ოცნებაა. ეს ფაქტორი ცალსახად აქტუალურია საქმიანობის აბსოლუტურად ყველა დონეზე და მოღვაწეობის ყველა სფეროში. უპირატესობის მართვა შესაძლებელია გამოყენებულ იქნას, როგორც ნებისმიერი სახის მოხელეობის, ეკონომიკის, ბიზნესის, ტექნიკური და ტექნოლოგიური სისტემების პროექტირების და მართვის მიმართულებით.

.

კონკურენტული ბაზრის პირობებში ზემოთ აღნიშნული თემის აქტუალურობიდან გამომდინარე საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის ორგანიზებით 9-11 ნოემბერს გაიმართა ტრენინგი თემაზე „ორგანიზაციული უპირატესობის მოპოვება და მართვა“, რომელსაც უძღვებოდა მოწვეული ტრენერი - ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური დოქტორი თემურ მაისურაძე.

ტრენინგის მიზანს წარმოადგენდა მართვის სისტემათა ეფექტიანობის ზრდა იმ გამოწვევების შესაბამისად, რომლის წინაშეც დგას თანამედროვე ეკონომიკა. მენეჯერების მიერ დაგროვილი ცოდნის კიდევ უფრო დახვეწა და სრულყოფა ახალ მეთოდების, მეთოდიკის და ინსტრუმენტების შემუშავების გზით.

ტრენიგის მონაწილეებს გადაეცათ GEA-ს სერტიფიკატები.

„საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია“ წევრ და პარტნიორ კომპანიებს სისტემატურად სთავაზობს კადრების გადამზადების მიზნით სხვადასხვა აქტუალური ტრენინგებზე დასწრებას. ასევე, კორპორატიული ტრენინგების ორგანიზებას კომპანიის საჭიროებიდან გამომდინარე

სპორტული მარკეტინგის საერთაშორისო კონფერენცია 2016

ბიზნეს გაერთიანება „საქართველოს დამსაქმებელტა ასოცაციის“ ორგანიზებითა და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და ქ. თბილისის მერიის ხელშეწყობით გაიმართა სპორტული მარკეტინგის პირველი საერთაშორისო კონფერენცია.

კონფერენცია მიზნად ისახავდა ამ ინდუსტრიაში დასაქმებული ხალხისთვის სპორტული ბიზნესის უახლესი გამოცდილების გაზიარება. ასევე, კერძო სექტორის ჩართულობის გაზრდა, რათა სპორტული ღონისძიებები გარდაიქმნას მომგებიანად. კონფერენციზე განიხილეს შემდეგი ძირითადი საკთხები - სპორტული მარკეტინგი, მენეჯმენტი და ტურიზმი; სახელმწიფო და კერძო სექტორის თანამშრომლობა სპორტში; მეგასპორტული ღონისძიებების მარკეტინგი.

კონფერენცია გახსნეს საქართველოს ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა გიორგი ჩოგოვაძემ და პრაიმ სპორტ მენეჯმენტის დამფუძნებელმა ზურაბ ბოქოლიშვილმა, რომლებმაც ისაუბრეს საქართველოსში სპორტული ტურიზმის პერსპექტივის შესახებ.

ღონისძიებაზე ასევე სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს და ქ. თბილისის მერიის წარმომადგენლები. კონფერენციის სპიკერებს შორის იყვნენ მსოფლიოს უდიდესი სპორტული მენეჯმნეტის კომპანიების (IMG, BLUEROCK) ტოპ მენეჯერები.

„საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია“ წარმოადგენს პრაიმ სპორტ მენეჯმენტის ოფიციალურ პარტნიორს და ხელს უწყობს სპორტული ბზინესის განვითარებას საქართველოში.

ტრენინგი - პრაქტიკული ციფრული მარკეტინგი

ბიზნეს გაერთიანება „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციაში“ გაიმართა ტრენინგი თემაზე - „პრაქტიკული ციფრული მარკეტინგი - პრაქტიკა, ტექნიკები, ინსტრუმენტები“. ტრენინგს ესწრებოდნენ კომპანიების ის თანამშრომლები, ვისაც უშუალოდ უწევთ ციფრულ მარკეტინგის სხვადასხვა არხისა და ინსტრუმენტის გამოყენება საკუთარი პროდუქტის ონლაინ პლატფორმაზე ინტეგრაციისთვის.

ტრენინგ პროგრამა შედგებოდა სამი ძირითადი ბლოკისგან - დაგეგმვა, განხაროციელება და ანალიზი. პროგრამის მნიშვნელოვანი უპარატესობა იყო ის, რომ პრაქტიკული სავარჯიშოების საშუალებით მონაწილეებს საშუალება მიეცათ მიღებული ცოდნა მოერგოთ რეალური ქეისებისთვის.

ტრენინგს უძღვებოდა სოციალური მედიისა და ვებ პროექტების კოორდინატორი და საკომუნიკაციო სისტემების სპეციალისტი მერაბ კეჩხოშვილი.

ტრენინგის დასასრულს მონაწილეებს გადაეცათ GEA-ს სერტიფიკატები.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია მომავალშიც უზრუნველყოფს მსგავსი თემატიკის ტრენინგების ორგანიზებას, რადგან ციფრული მარკეტინგის მნიშვნელობა დღითიდღე იზრდება, შესაბამისად, აუცილებელი ხდება როგორც ბიზნესის განვითარების სტრატეგიის, ასევე მარკეტინგული ინსტრუმენტების ახალ ტენდენციებზე მორგება, ასევე საერთაშორისო პრაქტიკის ადგილობრივ ბაზარსა და სპეციფიკაზე ადაპტაცია.

ტრენინგი - სახანძრო უსაფრთხოება

ბიზნეს გაერთიანება „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის“ (GEA) ორგანიზებით გაიმართა ტრენინგი შრომის უსაფრტხოების საკითხებში, კერძოდ, თემაზე „სახანძრო უსაფრთხოება და ხანძართან ბრძოლა“. ტრენინგს უძღვებოდა ასოციაციის შრომის უსაფრთხოების ცენტრის ILO–ს (შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის) სერტიფიცირებული ტრენერი დავით ჩიჯავაძე.

ტრენინგის მიზანს წარმოადგენდა კომპანიებისათვის საწარმოებში არსებული სახანძრო საფრთხეების გამოვლენის მეთოდების შესწავლა, ასევე სახანძრო უსაფრტხოების იმ აუცილებელი ინსტრუქციებისა და პროცედურების შესწავლა, რომელიც უნდა ჰქონდეს შემუშავებული ნებისმიერ კომპანიას, მიუხდავად მისი სიდიდისა.

ტრენინგის შემდეგ მონაწილეებმა უნდ აშეძლონ სახანძრო უსაფრთხოების სისტემის დანერგვა და საევაკუაციო სქემების შემუშავება. ტრენინგს ესწრებოდნენ საწარმოების/ორგანიზაციების ტექნიკური მენეჯერები და სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი სპეციალისტები. ტრენინგის დასასრულს მონაწილეებს გადაეცათ GEA-ს სერტიფიკატები.

ტრენინგის თემაკიტა განსაკუთრებით აქტუალურია 2015 წლის 2 მარტს საქართველოს მთავრობის #81 დადგენილების საფუძველზე შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის შექმნის შემდეგ, რომლის მიზანია ორგანიზაცია-დაწესებულებებში შრომის უსაფრთხოების არსებული პირობების ინსპექტირება. ბიზნეს გაერთიანება GEA წევრ და პარტნიორ კომპანიებს სისტემატურად სთავაზობს კადრების გადამზადებას იმ რეგულაციების შესაბამისად, რომლებსაც საქართველოს მთავრობა ადგენს ევროდირექტივების საფუძველზე.

ტრენინგი - მოგების გადასახადის ესტონური მოდელი

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციისა და „ფინანსური ოფისის“ ორგანიზებით, კომპანიების მოთხოვნის გათვალისწინებით, დაიწყო ტრენინგების ციკლი თემაზე „მოგების გადასახადის ახალი (ესტონური) მოდელი“.

ტრენინგების მიზანს წარმოადგენს ბიზნეს სექტორისთვის საგადასახადო კანონმდებლობაში, მოგების გადასახადის ე.წ ესტონურ მოდელთან დაკავშირებით შესული მნიშვნელოვანი ცვლილებების გაცნობა, რომელიც ამოქმედდება 2017 წლის 1 იანვრიდან.

17 ნოემბერს გაიმართა პირველი ტრენინგი, რომელსაც უძღვებოდა აუდიტორული და ბუღალტრული კომპანია ფინანსური ოფისის მმართველი პარტნიორი მიხეილ ჭელიძე.

აღნიშნულ ტრენინგზე განიხილეს შემდეგი თემები:

1. შინაარსობრივი განსხვავება მოგების გადასახადის არსებულ და ახალ მოდელებს შორის;
2. ვინ არის მოგების გადასახადის გადამხდელი ახალი მოდელის მიხედვით;
3. დაბეგვრის ობიექტები ახალი მოდელის მიხედვით:
   - განაწილებული მოგება;
   - გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის;
   - უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა;
- კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.
4. უკვე გადახდილი ან გადასახდელი მოგების გადასახადის ჩათვლა ახლად გადასახდელი მოგების გადასახადის ანგარიშში.

ტრენინგის დასასრულს მონაწილეებს გადაეცათ GEA-ს სერტიფიკატები. საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია „ფინანსურ ოფისთან“ ერთად გეგმავს სისტემატურად შესთავაზოს კომპანიებს ტრენინგები აღნიშნულ თემატიკაზე.

ბიზნეს სექტორის შეხვედრა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან

25 ნოემბერს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე, ლევან რაზმაძე საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციაში ბიზნესმენებს შეხვდა. შეხვედრას 100-მდე ბიზნეს კომპანია ესწრებოდა. ბიზნესმენებთან შეხვედრა დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტმა ელგუჯა მელაძემ გახსნა.

ბიზნესმენებთან შეხვედრა დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტმა ელგუჯა მელაძემ გახსნა.

ლევან რაზმაძემ ბიზნესმენებს გააცნო სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში მიმდინარე წელს განხორციელებული რეფორმები, ასევე საკანონმდებლო ცვლილებები, მათ შორის, ტენდერის ჩატარების ახალი მეთოდები და პროცედურები.

აღსანიშნავია, რომ სააგენტომ ბიზნესისთვის ახალი ელექტრონული სერვისები შეიმუშავა. განხორციელებული რეფორმების მიზანს წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვებში ბიზნესმენების მონაწილეობის ხელშეწყობა და მათთვის „სამართლიანი თამაშის წესების დადგენა. შეხვედრის ბოლო ნაწილი კითხვა-პასუხის ფორმატში წარიმართა.

ღონისძიება გაიმართება საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის მიერ ორგანიზებული შეხვედრების ციკლის „ბიზნესის დიალოგი მთავრობასთან“ ფარგლებში.

ბიზნეს გაერთიანება GEA
მის.: 0159, ა. ბელიაშვილის ქ. #8, თბილისი
ტელ.: +995 32 2 14 73 73 მობ.: +995 579 555 551
ელ.ფოსტა: employer@employer.ge
www.employer.ge
www.facebook.com/GEA